№07/84166-13
17.12.08წ.

ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახური

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 01/1916

„30“ 12 2008 წ.

ქ. თბილისი

ქ. თბილისში, გლდანი-ნაძალადევის რაიონში, ქსნის ქუჩის გაგრძელებაზე, ს/ს „სანაპირო-10“-ის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე ავტოტექმომსახურების სახელოსნოების არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ.

დამკვეთი: - ს/ს „სანაპირო-10“.

საპროექტო ორგანიზაცია: - შპს „თემატი-20“.

ავტორი: - გ. დათებაშვილი.

საფუძველი: - ამონაწერი სავჭარო რეესტრიდან და საკადასტრო რუკა (სარეგისტრაციო №882008209093/08; საკადასტრო №01.12.08.039.027);
- ქალაქთმშენებლობითი პირობები №1199, 10.12.08წ.

მიწის ნაკვეთის ფართი	- 4103.0 მ^2
მოშენების ფართი (საპროექტო)	- 126.6 მ^2
საერთო ფართი	- 119.2 მ^2
სამშენებლო მოცულობა	- 636.5 მ^3

თანახმად საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-100 და საქართველოს მთავრობის 11.08.2005 წლის №140-ე დადგენილების 51-ე მუხლებისა

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შეთანხმდეს ქ. თბილისში, გლდანი-ნაძალადევის რაიონში, ქსნის ქუჩის გაგრძელებაზე, ს/ს „სანაპირო-10“-ის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე ავტოტექმომსახურების სახელოსნოების არქიტექტურული პროექტი;
2. გაიცეს მშენებლობის ნებართვა და სანებართვო მოწმობა;
3. მშენებლობის ვადა განისაზღვროს 2009 წლის 08 იანვრიდან 2009 წლის 08 სექტემბრამდე.

- მშენებლობის ეტაპები: დაკვალვა, ფუძის მოწყობა, ნულოვანი ციკლის დასრულება, გადახურვის მოწყობა, 1-სართულამდე რკ/ბეტონის კარკასის დამთავრება, ტერიტორიის კეთილმოწყობა;
- მშენებლობის დამთავრების შემდეგ ობიექტი მიღებულ იქნას ექსპლუატაციაში კანონმდებლობით დადგენილი წესით;
- წინამდებარე ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მერიაში (მის: ჟ. შარტავას ქ. №7) ერთი თვის ვადაში.

სამსახურის უფროსი - მ. ავალიანი